არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
,,ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და
ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“
NNLE ,,ART, SPORT AND YOUTH DEVELOPMENT
CENTER OF RUSTAVI CITY”

ბრძანება:**ბ11. 38240582**

თარიღი:**27/02/2024**

სახელოვნებო სფეროში ღონისძიებების და კულტურული აქტივობების პროექტების დაფინანსების წესის შესახებ

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 ნოემბერს გამოცემული ბ38.382333318 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“_ს წესდების მე-8 მუხლის 8,2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სახელოვნებო სფეროში ღონისძიებების და კულტურული აქტივობების პროექტების დაფინანსების წესი დანართი №1 ის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან;
3. ბრძნება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ.№6)

გიორგი დემეტრაშვილი

ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი-დირექტორი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი #1

სახელოვნებო სფეროში ღონისძიებების და კულტურული აქტივობების პროექტების დაფინანსების წესი

მუხლი #1

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობები და დაფინანსების წესი (შემდეგში - წესი) განსაზღვრავს ცენტრის მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების დაფინანსების წესსა და პირობებს და სხვა პროცედურულ საკითხებს.

მუხლი #2

პროექტი განსახილველად მიიღება მხოლოდ შესაბამისი საპროექტო განაცხადის ფორმით წარმოდგენის შემდეგ, შემდეგი პირობების დაცვით:

2.1 განაცხადები მიიღება 2024 წლის 1 მარტიდან 2024 წლის 30 მაისის ჩათვლით.

2.2 საპროექტო განაცხადები მიიღება ღონისძიების განხორციელებამდე 60 კალენდარული დღით ადრე.

2.3 განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მეწარმე პიზიკურ პირს (ინდივიდუალური და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს).

2.4 განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი (პროექტი).

2.5 საპროექტო განაცხადის ფორმას უნდა ახლდეს თავსართი წერილი პროექტის შესახებ მოკლე ანოტაციით, ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.

2.6 პროექტში მაქსიმალურად უნდა იყოს გადმოცემული ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებებისა და შემოქმედებით-საორგანიზაციო ჯგუფის შემადგენლობის.

2.7 ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებულად.

2.8 პროექტის დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, თუ დაფინანსება არასრულია ან მოთხოვნილია კორექტირება ან დაზუსტება, ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს განაცხადის დაზუსტების ფორმაში.

2.9 განაცხადებს (პროექტებს) განიხილავს და აფასებს შესაბამისი პროექტების განმხილველი კომისია, განაცხადების შემოტანიდან 1 თვის ვადაში და იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

2.10 განაცხადით გათვალისწინებული პროექტი უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

2.11 აპლიკანტის მიერ საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი)

თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების საბოლოო ვადას.

მუხლი #3

დაფინანსების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ა(ა)ი.პ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე.